საქართველოს ტექნილური უნივერსიტეტი

კონფლიქტების შიდასახელმწიფოერბრივი რეგულაციის ეფექტურობის შეფასების კოგნიტიური მოდელის დამუშავება სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ფაქტორების გათვალისწინებით

ა ნ გ ა რ ი შ ი

პროექტის ხელმძღვანელი მზია კიკნაძე

სტუ
2016

პროექტის ხანგრძლივობაა - 6 თვე,

გამოყოფილი იყო 32 ათასი ლარი.

მონაწილეობდა სტუ-ს 9 თანამშრომელი:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი **მზია კიკნაძე.**
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი **იგორ კვესელავა**.
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი **ევგენი ბარათაშვილი.**
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **ქეთევან კვესელავა**.
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **ნონა ლომიძე**.
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული **მაია სოსელია.**
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **თამარ როსტიაშვილი.**
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი **მიხეილ ჯანიკაშვილი.**
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **მარინა მეტრეველი.**

საგრანტო პროექტის ძირითად მიზანს იმ მეთოდების, მოდელების ალგორითმების და პროგრამების დამუშავება წარმოადგენდა, რომელთა გამოყენებით კონფლიქტური რეგიონების სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტური დაგეგმვის კვლევა და ანალიზი იქნება შესაძლებელი.

საქართველოსთვის დამოუკიდებელი, საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ფორმირების პირველი წლები განსაკუთრებით რთული

აღმოჩნდა სამოქალაქო დაპირისპირება, საომარი მოქმედებები აფხაზეთსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, გაწყვეტილი ეკონომიკური კავშირები, ძველი ტრადიციული ბაზრების და მომწოდებელთა დაკარგვა და მათი საპირწონე ახალი ბაზრების და მომწოდებლების არარსებობა ქვეყანა რადიკალური და სწრაფი ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობის წინაშე დადგა. თუმცა, საქართველოში გასული წლების ეკონომიკურმა რეფორმებმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანა.

საგრანტო პროექტის ფარგლებში ჩატარდა :

საქართველოს რეგიონების, კერძოდ კი, კონფლიქტური რეგიონების პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტური რეგული-რებისთვის ამ რეგიონებში სიტუაციების და პრობლემების სისტემური კვლევა. რომელიც მოიცავდა:

1. პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების სისტემური ფორმალიზებას, შემოტანილი იქნება პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კრიტერიუმები, შინაარსობრივად კრიტერიუმები დაჯგუფდა ბლოკებად, ჩატარდა კრიტერიუმისა და ბლოკების ფარდობითი ანალიზი;

2. განხორციელდა პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთდაკავშირებული ხის აგება, სადაც უმაღლეს დონეს კონფლიქტური რეგიონების პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს, ხოლო ყველაზე დაბალს - ლოკალური მიზნები, რომლებიც პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური განვითარებას განსაზღვრავს;

3 დამუშავდა ფაქტორების ურთიერთქმედების ხარისხის შეფასების მოდელი, რომელიც ექსპერტების მონაწილეობას გულისხმობს და სტატისტიკურ მონაცემებს დაეყრდნო;

4 შემოთავაზებულ იქნა მათემატიკური მოდელი, მის საფუძველზე მოხდა ლოკალური მიზნების მინიმიზება. შერჩეული იქნა ლოკალურ მიზნებს შორის

შედარებით მაღალი მნიშვნელოვნების მიზნები, რომლებიც ეტაპობრივი განვითარების პირობებში მეტად მოქმედებს კონფლიქტური რეგიონების განვითარებაზე.

5 მათემატიკური მოდელის საფუძველზე მიზნების წონების განსაზღვრა და ლოკალური მიზნებიდან მაღალი მნიშვნელოვნების მიზნების შერჩევა.

6 კოგნიტიური მოდელირების პრინციპებზე დაყრდნობით დამუშავდა პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მათემატიკური მოდელი, რომელიც მოიცავს:

• **სტრუქტურულ - მიზნობრივ ანალიზს**, მიზნების წინააღმდეგობრიობის განსაზ-ღვრისათვის;

• **თვითგანვითარების მოდელს**, რომელიც პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესის "არამართვად" სტრატეგიას ეფუძნება და განვითარების უპერსპექტივობის, განვითარების შესუსტების პროგნოზს იძლევა;

• **მოდელს მართვით** (მართვის სცენარი), რომლის პროგნოზით რეგიონალური განვითარება მნიშვნელოვნად უმჯობესდება.

დამუშავებული მოდელი შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების რეგულაციის მკვლევარს საშუალებას მისცემს ჩამოაყალიბოს კონფლიქტების შიდასახელმწიფოერბრივი რეგულაციის ამოცანა და შეისწავლოს გადაწყვეტილებების ეფექტურობა .

განზოგადებული თვალსაზრისით, შემოთავაზებული მეთოდოლოგია წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას დიდი ორგანიზაციული სისტემების კვლევასა და ანალიზში.

პროექტის ფარგლებში მიღებული კვლევის შედეგები გამოიცა სამეცნიერო სტატიების სახით.